საქართველო

24143-01-2-202009101749

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/24143
10/09/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს ქ-ნ **თამარ გაბუნიას**
საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს ქ-ნ **ლელა ჩიქოვანს**
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ბ-ნ **კახაბერ საბანაძეს**
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
მინისტრის მოადგილეს ბ-ნ **გენადი არველაძეს**
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქ-ნ **ხატია წილოსანს**
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
მინისტრის მოადგილეს ბ-ნ **ლევან ხარატიშვილს**
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის
მოადგილეს ქ-ნ **მზია გიორგობიანს**
საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს ბ-ნ **გოჩა ლორთქიფანიძეს**
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ბ-ნ **ნიკოლოზ გაგუას**
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო
მინისტრის მოადგილეს ბ-ნ **ბადრი ნანეტაშვილს**
ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსს ბ-ნ **კახაბერ ქემოკლიძეს**

ძვირფასო კოლეგებო,

გაცნობებთ, რომ **29-30 სექტემბერს გაიმართება საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ვიზიტი ბრიუსელში.** ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან, ევროკომისიის პრეზიდენტთან, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან და ევროკომისრებთან, რომელთა კომპეტენციები მოიცავს შემდეგ საკითხებს: სამეზობლო პოლიტიკა და გაფართოება, ეკონომიკა და ვაჭრობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მართლმსაჯულება, მწვანე ეკონომიკა, ციფრული განვითარება, მიგრაცია, განათლება, კვლევა და ინოვაციები.

გთხოვთ, პრემიერ-მინისტრის შეხვედრებისთვის მოგვაწოდოთ (ინგლისურ ენაზე) **თქვენი კომპეტენციის შესაბამის ევროკომისართან შეხვედრისთვის წარსადგენი კონკრეტული წინადადებები სამომავლო თანამშრომლობისთვის, სხვადასხვა მიმართულებით მხარდაჭერისა და დახმარების შესახებ ქართული მხარის თხოვნები და ინფორმაცია ამ სფეროში თანამშრომლობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.**

გთხოვთ, დანართის სახით იხილოთ იმ ევროკომისრების ჩამონათვალი, ვისთანაც დაგეგმილია შეხვედრები და მათი კომპეტენციის სფეროები.

პატივისცემით,
ვახტანგ მახარობლიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე